

უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ახალი უმაღლესი სასწავლებლის (შემდგომში - სასწავლებლის) უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს სასწავლებლის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების მიხედვით.

1.2 ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია სასწავლებლის რექტორის და აკადემიური საბჭოს წინაშე, ასრულებს კანონის საფუძველზე რექტორისა და აკადემიური საბჭოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

1.3 დებულება განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ფუნქციებს.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო, მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

2.1 ცენტრის დანიშნულებაა საზოგადოებისათვის სასწავლებლის რესურსებისა და გამოცდილების გამოყენების საშუალების მიცემა პროფესიული თუ პირადი განვითარების მიზნით, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის, აკადემიური განათლების მისაღებად საფუძვლის მომზადება და შექმნა.

2.2 ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფერო სასწავლებელში უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და ადმინისტრირებაა.

2.3 ცენტრის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სასწავლებლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული და აკადემიური განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ბ) სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებებისა და კურსების დაგეგმვა უწყვეტი განათლების კუთხით;

გ) აბიტურიენტისათვის საბაკალავრო პროგრამებში სრულფასოვნად ჩართვისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების შესაძენად შესაბამისი მოსამზადებელი პროგრამებისა თუ კურსების შემუშავება და განხორციელება;

დ) უწყვეტი განათლების შესახებ სასწავლებელში საინფორმაციო კამპანიის წარმოება;

ე) სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული საჭიროებების შესახებ გამოკითხვის წარმოება და შესაბამისი ტრენინგებისა თუ კურსების ორგანიზება;

ვ) სასწავლებლის სტუდენტების საჭიროებების კვლევას და მათთვის შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზება;

ზ) სკოლის მოსწავლეებისათვის სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1 ცენტრი წარმოადგენს სასწავლებლის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, რომლის სტრუქტურა წარმოადგენს: ცენტრის უფროსს, მთავარ სპეციალისტს, სპეციალისტს.

3.2 ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი.

3.3 ცენტრის მთავარ სპეციალისტსა და სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინებით.

3.4 ცენტრის უფროსი:

ა) წარმართავს ცენტრის საქმიანობას და უზრუნველყოფს შრომის აუცილებელი პირობების შექმნას; ახორციელებს წინამდებარე დებულებით დაკისრებულ მოვალეობებს;

ბ) ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახდენს სასწავლებლის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების ვიზირებას;

გ) ცენტრის უფროსი განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ ჯეროვნად განხორციელებაზე;

დ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ამის საფუძველზე, პერიოდულად რექტორსა და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოგვარებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ე) შუამდგომლობს იმ სახსრების ან ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ვ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ზ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლებლის წესდებითა და რექტორის მითითებებით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 4. ცენტრის ქონება და ფინანსები

4.1 ცენტრი, თავის ფუნქციათა ჯეროვნად განსახორციელებლად, სარგებლობს სასწავლებლის უძრავი და მოძრავი ქონებით.

4.2 ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) სასწავლებლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ცენტრისათვის მიზნობრივად განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

დ) მსმენელთა მომსახურებით მიღებული შემოსავლები;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1 ცენტრის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2 ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.